ჩვენი სკოლის ეზო

მაღალი დონე

საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ავტორები:

თამარ ჯაყელი, შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე,
ნანა დალაქიშვილი, თინათინ ცერაძე, თამარ ანთაძე, ელენე ჯაჯანიძე

რედაქტორი

კახა გაბუნია

დიზაინერი

ილია ჭრელაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

ISBN

თბილისი
2019 წელი

ჩვენი სკოლის ეზო

მაღალი დონე

შინაარსი

ეზოს აღწერილობა …….…….…….…….…….…. 2

სკოლის ეზო წელიწადის სხვადასხვა დროს …..……. 11

ეზოს აღწერილობა

ჩვენს სკოლას ძალიან დიდი ეზო აქვს. სკოლის ეზოს ყველანი ვუვლით - მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც. ჩვენი სკოლის ეზოში ბევრი მცენარე ხარობს. ეზო მწვანეა და ლამაზი. ეზოში ვისვენებთ, ვთამაშობთ, ვსწავლობთ მცენარეების მოვლას, ვაკვირდებით ცხოველების ქცევას. ყველას ძალიან გვიყვარს ჩვენი სკოლის ეზოში ყოფნა.

სკოლის შენობის უკანა მხარეს, ეზოს ბოლოში, დიდი **სპორტული მოედანია.** მოედანი მწვანე ბალახით არის დაფარული. აქ ვთამაშობთ კალათბურთს, ფეხბურთს, წრეში ბურთს; ხშირად ვმართავთ სასკოლო შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

სპორტული მოედნის **მარცხენა მხარეს** დიდი **ბატუტია** აწყობილი. ბავშვებს ძალიან უყვართ დრეკად ბატუტზე ხტუნვა.

სკოლის შენობის **მარცხენა მხარეს,** ღობის გაყოლებაზე, **ნაძვის ხეებია.** ისინი რამდენიმე რიგად არის დარგული, ნაძვების ქვეშ ხისგან დამზადებული გრძელი მაგიდა და სკამები დგას. კარგ ამინდში მოსწავლეებს აქ გაკვეთილები უტარდებათ.

სკოლის შენობის გვერდით, **მარჯვენა მხარეს,** მიწის **ორი პატარა ნაკვეთია** გამოყოფილი. ერთ ნაკვეთზე მოსწავლეები **ხორბალს თესავენ** და აკვირდებიან, როგორ ამოდის და ვითარდება ეს მცენარე.

მეორე ნაკვეთზე **დეკორატიული მცენარეებია** დარგული - ფურისულები, ნარცისები, ტიტები და სხვადასხვა ფერის ვარდის ბუჩქები.

ნაკვეთების **მარცხნივ**, ღობის გაყოლებაზე, **ბოსტანია**. ბოსტანში მოგვყავს კიტრი, პომიდორი, გოგრა.

ბოსტნის უკან, ღობის გასწვრივ, შემოღობილი ნაკვეთია. ღობის მხარეს მაყვლის ბუჩქებია. ამ ნაკვეთზე **კუები** ცხოვრობენ, ამიტომ ამ ნაკვეთს **„კუს ნაკვეთს“** უწოდებენ. მათ ბავშვები უვლიან. ისინი ასუფთავებენ კუების საცხოვრებელ ადგილს, კვებავენ

ცხოველებს ბოსტნეულითა და სამყურა ბალახით - სამყურა ბალახი კუს საყვარელი საკვებია. ამ ნაკვეთზე ქვებია მოტანილი, რადგან კუებს უყვართ ქვებსა და ბუჩქებში მიმალვა.

„კუს ნაკვეთი“ პატარა ხვლიკებმაც შეიყვარეს. აქ ხშირად დაინახავთ შეშინებულ ხვლიკს, რომელიც გარბის და ქვებში იმალება. ხვლიკებს დიდი სარგებელი მოაქვს სკოლის ეზოს ბაღ-ბოსტნისთვის. ისინი ანადგურებენ მუხლუხოებს, მატლებს, მწერებს. ამიტომ ბავშვები უფრთხილდებიან ხვლიკებს. ბავშვებმა ხვლი-

კებისთვის მზიან ადგილზე დიდი ბრტყელი ქვა დადეს. ხვლიკებს ძალიან უყვართ სიცხეში ცხელ ქვაზე აცოცება და გათბობა.

კუს ნაკვეთის უკან, ღობის გაყოლებაზე, **ხეხილია**. აქ ბავშვები სწავლობენ ვაშლის, ქლიავის, ატმის, ნუშისა და მსხლის ხეების მოვლას.

ეზოს ბოლოში, **ღობის მარჯვენა კუთხეში,** პატარა **ტბორია**. ტბორში თევზები დაცურავენ.

ნაპირს თუ მიუახლოვდები, ერთი-ორი **ბაყაყი** წყალში ისკუპებს. თუ წყალს კარგად დააკვირდები, ლიფსიტებსა და თავკომბალებს დაინახავ.

ტბორთან ბავშვებს ხშირად უტარდებათ გაკვეთილი. აქ ისინი აკვირდებიან ბაყაყის ნაშიერებს - თავკომბალებს, თევზების

ნაშიერებს - ლიფსიტებს. მოსწავლეები ტბორს უვლიან. წვიმიან ამინდში ტბორი ფართოვდება და დიდდება, ზაფხულში ის პატარავდება. ამ დროს მოსწავლეები ტბორს წყლით ამარაგებენ, რომ არ დაშრეს. ტბორში სწრაფად მრავლდება წყალმცენარეები. ამიტომ ბავშვები იკეთებენ რეზინის ხელთათმანებს, იცვამენ რეზინის ბოტებს და პერიოდულად ტბორს წყალმცენარეებისგან წმენდენ.

სპორტულ მოედანსა და ტბორს შორის ცაცხვის ხეები იზრდება. სპორტული თამაშების შემდეგ მოსწავლეები ამ ხეების ჩრდილში ისვენებენ.

სკოლის **შენობის უკან,** სკოლასა და სპორტულ მოედანს **შორის**, პატარა **სათბური**ა აშენებული. სათბურს მინის სახურავი აქვს იმიტომ, რომ მცენარეებს სინათლე და სითბო სჭირდებათ.

ბავშვები ზამთარში სათბურში საქმიანობენ და სხვადასხვა მცენარის **ჩითილებს** ზრდიან. ზოგი კიტრს და პომიდორს თესავს პატარა პლასტმასის ქილაში, ზოგი კი - სხვადასხვა ფერის პეტუნიებს.

გაზაფხულზე ბოსტნეულს პატარა ბოსტანში რგავენ, პეტუნიებით კი ეზოს ამშვენებენ. პეტუნიას კვირტები ყვავილებად იშლება და ეზო ფერადი პეტუნიებით იფარება.

სათბურთან **ახლოს, მარჯვენა მხარეს,** ბავშვებს პატარა **ვენახი** აქვთ გაშენებული.

ხეებზე პატარა ფერადი სახლებია მიმაგრებული. ეს ბავშვებმა დაამზადეს იმ ფრინველებისთვის, რომლებიც ზამთარში სხვა ქვეყნებში არ მიფრინავენ. ზამთარში ბეღურები ამ სახლებს თავს აფარებენ და საკვებს კენკავენ. ბავშვები ზამთრის ცივ და თოვლიან დღეებში ფრინველებს საკვებით ამარაგებენ. მათ იციან, რომ ფრინველები გაზაფხულზე დიდ სარგებლობას მოუტანენ ნათესებსა და ნარგავებს.

სკოლის **შენობის მარჯვნივ** პატარა **სათავსოა**, რომელშიც ინახება სამუშაო იარაღები: ხელთათმანები, ბოტები, შლანგი, სარწყავები და ურიკები. იმის მიხედვით სად საქმიანობენ ბავშვები, მასწავლებელი მათ საჭირო ნივთებს ურიგებს.

სისუფთავის დაცვა აუცილებელია ყველა მოსწავლისათვის.

სკოლის ეზოში ყველგან დგას ნაგვის ურნები. ნაგავს ყველა ურნებში ყრის. სუფთა და გამწვანებულ ეზოში ყოფნა ყველას სიამოვნებს.

სკოლის ეზო წელიწადის სხვადასხვა დროს

სკოლის ეზო წელიწადის ყოველ სეზონზე ლამაზია. მაშინ, როდესაც ყველა მცენარე ყვავის და მაშინაც, როცა თოვლით იფარება.

შემოდგომა განსაკუთრებულია, რადგან ხეები ხილით არის დახუნძლული, ყურძენიც დამწიფებულია. სკოლაში ზეიმი იმართება, დიდები და პატარები ხილს და ყურძენს კრეფენ. იშლება ხილის სუფრა, ყველა მიირთმევს ტკბილ და გემრიელ ხილს. ეწყობა კონცერტები მასწავლებლისა და მოსწავლეების მონაწილეობით.

ზამთარში, როდესაც ახალი წელი მოდის, სკოლის ეზოში მდგომ ერთ-ერთ ნაძვის ხეს სათამაშოებით რთავენ. ნაძვის ხის მორთვაში მთელი სკოლის ბავშვები იღებენ მონაწილეობას. თუ თოვლი მოდის, ნაძვის ხე თავისი სათამაშოებით კიდევ უფრო ლამაზად გამოიყურება.

ზამთარში ეზოში ჩიტების ჭიკჭიკი აღარ ისმის. არსად ჩანან ბაყაყები და ხვლიკები. კუებიც მიმალული არიან ბუჩქებში და ქვების ქვეშ. სკოლის ეზოს სხვა ბინადრებსაც ზამთრის ძილით სძინავთ.

გაზაფხულზე სკოლის ეზო სურნელოვანი და მშვენიერია. ხეები თეთრად და ვარდისფრად ყვავის.

მიწიდან ბავშვების მიერ დარგული ფურისულები, ნარცისები და ტიტები ამოდიან და იშლებიან, შემდეგ ვარდები ყვავიან.

ამ დროს ცაცხვი იწყებს ყვავილობას. ცაცხვის ყვავილი საამო სურნელით ავსებს სკოლის ეზოს.

გაზაფხულზე იღვიძებენ ცხოველებიც. პეპლები დაფრინავენ და მცენარეებზე კვერცხებს დებენ. ბუზები ბზუილით დაფრინავენ, ობობები ქსელს ქსოვენ.

ბეღურა ბუდეში კვერცხებს დებს, ბრუნდებიან გადამფრენი ფრინველები - შოშიები, მერცხლები, კაჭკაჭები.



ეზოში ჩიტების ჭიკჭიკი ისმის.

კუები და ხვლიკები მზეზე გამოდიან.

ბაყაყები მხიარულად ყიყინებენ.

სკოლის ეზოს კარი ზაფხულშიც ღიაა. ბავშვებს შეუძლიათ ეზოში ითამაშონ, დაისვენონ და მონაწილეობა მიიღონ „მწვანე კლუბის“ საქმიანობაში. „მწვანე კლუბის“ წევრები უვლიან სკოლის ეზოს მცენარეებსა და ცხოველებს. ეზოსა და მის ბინადრებს მოვლა ზაფხულშიც სჭირდებათ.